

სამუშაო გუნდებზე მოქმედი ფაქტორები
სს „ბანკი ქართუს“ მაგალითზე

ეკატერინე დეკანოსიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ სიხარულიძე, ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკატერინე დეკანოსიძე

ხელმოწერა

18.06.2014

აბსტრაქტი

აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომში ფოკუსირებას ვახდენთ გუნდური მუშაობის როლზე საბანკო ორგანიზაციაში. გუნდი გადის განვითარების ფაზებს ფორმირებიდან მუშაობის შედეგების ჩათვლით და ამ პროცესში იძენს სასიცოცხლო მნიშვნელობის გაკვეთილებს.

ნაშრომი განიხილავს კონკრეტული სამუშაო ერთეულების გუნდების პრაქტიკას საშუალო რგოლის მენეჯერების ჭრილში, რაც განხილულია „ბანკი ქართუს“ მაგალითზე. პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები ამყარებს შემოთავაზებულ ჰიპოთეზას სამუშაო გუნდებზე ორგანიზაციული კულტურის, როგორც წამყვანი ფაქტორის ზეგავლენის შესახებ, მაგრამ ასევე მიუთითებს, დაკავშირებულ პირობებსა და სხვა ფაქტორებზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გუნდური მუშაობა და ორგანიზაციული კულტურა

Abstract

In the above-mentioned Master's thesis we focus on the role of teamwork in a banking organization. The team undergoes the development phases from formation to work results and during this process it takes vitally important lessons.

The thesis discusses the practice of specific work units in the respect of middle-level managers based on the examples of JSC Cartu Bank. The results of the conducted research within the frames of the project confirms strengthens the hypothesis about the organizational culture of work units, about the influence of leading factor, but also it indicates the other related conditions and factors.

Key Words: Team performance & Organizational Culture

შინაარსი

სარჩევი	iii
ცხრილების და გრაფიკების ჩამონათვალი.....	iv
ძირითადი ტერმინების განმარტება.....	v
1. შესავალი	1
2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	3
2.1. გუნდის არსი, ფორმირება და მართვა	5
2.2. ორგანიზაციული ფაქტორები	25
2.3. სამუშაო გუნდი და ორგანიზაციული ფაქტორები	30
3. სს „ბანკი ქართუ“	34
4. კვლევა	37
4.1. კვლევის მიზნები.....	37
4.2. კვლევის ჰიპოტეზა	37
4.3. საკითხის შესწავლა	37
4.4. კვლევის მეთოდოლოგია	38
4.5. კვლევის განხორციელება და შედეგების ანალიზი	41
5. დასკვნა და რეკომენდაციები	47
ბიბლიოგრაფია	50
დანართები	53
დანართი 1 – კითხვარის შინაარსი	54
დანართი 2 – ბანკი ქართუს ორგანიზაციული სტრუქტურა	56
დანართი 3 – კითხვარი	57
დანართი 4 – კითხვარის დეტალური ანალიზი	62

ცხრილების და გრაფიკების ჩამონათვალი

ცხრილი 1: გუნდის სასიცოცხლო ციკლის ძირითადი ეტაპები	8
ცხრილი 2: გუნდისა და ჯგუფის მუშაობის დახასიათება	10
ცხრილი 3: როლების კლასიფიკაცია რ. მერედიტ ბელბინის გუნდში.....	18
ცხრილი 4: ფიდლერის ტესტი	23
გრაფიკი 1: გუნდური მუშაობისა და ორგანიზაციის შიდა ფაქტორების კავშირი	33

ძირითადი ტერმინების განმარტება

ტერმინი	განმარტება
გუნდი	ჯგუფის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც ხასიათდება სპეციალური თვისებებით, რომლებიც მის ეფექტურობას განსაზღვრავს.
ჯგუფი	მცირე რაოდენობის ინდივიდთა ერთობლიობაა, რომლის წევრები აღიქვამენ, აცნობიერებენ და ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, როგორც ერთი ერთობლიობა.
ორგანიზაციული კულტურა	ქცევების, სიმბოლოების, რიტუალების და მითების ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციისათვის დამახასიათებელ და მის მიერ გააზრებულ ფასეულობებს და გადაეცემა ყოველ მის წევრს ზეპირი ფორმით.
სინერგია	სისტემების ერთობლივი და ერთგვაროვანი მოქმედება; თანამშრომლობა, ამხანაგობა.
სუბკულტურა	ნორმების, ღირებულებების, ქცევის მოდულების სისტემა, განსაზღვრული სოციალური ჯგუფისთვის, რომელიც გამოარჩევს მას საზოგადოებაში გაბატონებული კულტურისაგან.